ვებ-გვერდზე https://www.pashabank.ge/ განთავსებულ „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, შეიცვალოს ვებ-გვერდზე -https://www.pashabank.ge/ - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულება“, კერძოდ: ხელშეკრულებას დაემატოს **15^1** მუხლი ქვემოთ მოცემული რედაქციით და **17.2.** პუნქტი ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემული რედაქციით.

1. „15^1 მექრთამეობის, გადასახადებისგან თავის არიდების და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

15^1.1 კლიენტი აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

15^1.1.1 კლიენტი თავის საქმიანობასა და ურთიერთობებს წარმართავს კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. კლიენტს გააჩნია ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევს მუდმივ კონტროლს.

15^1.1.2 კლიენტი არ მიიღებს მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით ასევე, საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური.

15^1.1.3 კლიენტი არ ყოფილა ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით.

15^1.1.4 კლიენტს ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, ან/და ანაზღაურება.

15^1.1.5 ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული/მომავალში გაფორმებელი ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, კლიენტს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება“

2. “17.2 მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოება და დავა წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება ამ მუხლის შესაბამისად:

17.2.1 წინამდებარე გენერალური ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოება და დავა წყდება მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საერთო სასამართლოების მიერ ამ მუხლის შესაბამისად:

17.2.2 ბანკის მიერ გაგზავნილი გაფრთხილების წერილი ვალდებულების შესრულებისა და დამატებითი ვადის მიცემის შესახებ ჩაბარებულად ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით;

17.2.3 კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, მის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, მათ შორის, საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა და სხვ.) შეცვლის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკისათვის ცნობილ საკონტაქტო მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება/გაფრთხილება ჩაითვლება ჩაბარებულად. ასევე, იქონიოს კომუნიკაციისთვის აუცილებელი მოწყობილობები და ქსელი (მათ შორის, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ინტერნეტი) გამართულ/ჩართულ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი არ აგებს პასუხს ამით გამოწვეულ შედეგებზე/ზიანზე;

17.2.4 ბანკს უფლება აქვს მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძველზე ან/და ასეთ

დოკუმენტებთან დაკავშირებით წარმოშობილი ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის საფუძვლზე წარმოშობილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იძულებითი აღსრულების გზით."

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რედაქცია ძალაში შედის გამოქვეყნების თარიღიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2024 წლის 9 ოქტომბერი.